

Marine Turashvili

მარინე ტურაშვილი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Fairy Tale as a Universal Genre and Quantitative and Typological Analysis of Georgian Folk Tales

ზღაპარი, როგორც უნივერსალური ჟანრი და ქართული ხალხური ზღაპრების რაოდენობრივი და ტიპოლოგიური ანალიზი

The fairy tale, as a genre, holds a significant position in the folklore of all nations. The striking similarity is evident not only in the types but also in the narratives, underscoring its universality.

After analyzing fairy tales, it was found that they make up approximately 9% of the entire folklore repertoire. When looking at the subgenres, the percentage breakdown is as follows: animal tales account for 6%, magical tales for 59%, religious tales for 3%, novelistic tales for 17%, and anecdotes for 15%. The data analysis highlights that magical tales are the most popular within the Georgian folklore repertoire.

Key Words: Folk Tales, Genre, Typological Analysis

საკვანძო სიტყვები: ხალხური ზღაპრები, ჟანრი, ტიპოლოგიური ანალიზი

ზღაპარს, როგორც ჟანრს, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ყველა ერის ფოლკლორში. მათი მსგავსება არა მხოლოდ ტიპების, არამედ სიუჟეტების დონეზეც თვალშისაცემია. სწორედ ეს განსაზღვრავს მის უნივერსალურობას. მათი ინტენსიური შეგროვება საქართველოში მე-20 საუკუნიდან იწყება. მე-19 საუკუნის ბოლოდან მოყოლებული ისინი მრავამხრივად შესწავლილი, არსებობს, ერთი მხრივ, თეორიული ნაშრომები, და, მეორე მხრივ კი – რამდენიმე ცდა მათი კატალოგიზაციისა. კვლევის მიზანი იყო ქართული ხალხური ზღაპრების შესწავლა, შესაბამისად, მიზანი ითვალისწინებდა გარკვეული სამუშაოების შესრულებას: რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით ქართული ფოლკლორის მონაცემთა ბაზაში (იხ., <https://www.folktreasury.ge/ARPA>) ელექტრონულად სისტემატიზირებული ზღაპრების შესახებ მონაცემების შეგროვებას, **ტიპოლოგიური ანალიზის მეთოდი კი დაეფუძნა 2004 წლის ნოემბერში ჰელსინკის მეცნიერებათა აკადემიის ფოლკლორისტთა კავშირის მიერ სამ ტომად გამოცემული ზღაპრის ტიპთა საერთაშორისო კატალოგს – „The Types of International Folktales. A Classification and Bibliography“ (Uther 2004), რომლის საფუძველსაც შეადგენდა ანტი აარნეს დამუშავებული და შემდგომ სტიდ თომპსონის მიერ გავრცობილი „ზღაპრის**

ტიპების საძიებელი“. ყველაფერი კი საბოლოოდ გადაამუშავა და შეავსო გერმანელმა ფოლკლორისტმა და ზღაპართმცოდნემ პროფესორმა ჰანს-იორგ უთერმა. ამრიგად, აარნე-თომპსონ-უთერის საერთაშორისო კატალოგის სახით სამეცნიერო სივრცეში შემოვიდა მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელიც კომპარატივისტული, ფოლკლორისტული და, საერთოდ, ყოველგვარი ხალხური გადმოცემების ფართო მასშტაბით კვლევების განსახორციელების საშუალებას იძლევა. კვლევაში შედარებითი ანალიზისთვის გამოყენებულია ელექტრონული პროდუქტი (*იხ.*, <http://www.folktreasury.ge/Folklore>), რომელიც შეიქმნა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით 2010-2012 წლებში განხორციელებული პროექტის – „ქართული ხალხური პროზის კომპარატივისტული ანალიზის ელექტრონული პლატფორმა“ – ფარგლებში, რომელშიც ზღაპრის ტიპთა საერთაშორისო კატალოგთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე დამუშავებულია შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივში დაცული გამოუქვეყნებელი ზღაპრები.

ქართული ზღაპრების შესწავლა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოდან იწყება და ის ალ. ხანაშვილის სახელს უკავშირდება. მკვლევარი საკუთარ მონოგრაფიაში ზოგადად ზღაპრებს სამ ჯგუფად ჰყოფს: 1. მითოლოგიური, 2. საყოფაცხოვრებო და 3. ცხოველთა (ხანაშვილი, 1895). მოგვიანებით მ. ჩიქოვანმა ზღაპრების მხატვრული ანალიზი შეისწავლა და მიიჩნია, რომ ქართული ზღაპრული ეპოსის კვლევას ადრეულ ხანაში ჩაეყარა საფუძველი და აღნიშნულ დროდ ამ ჟანრის ლიტერატურულად გადამუშავების დაწყებას მიიჩნევს (ჩიქოვანი, 1946). ე. ვირსალაძეც სპეციალურ ნაშრომს უძღვნის ქართულ ხალხურ ზღაპარს (ვირსალაძე, 1960).

საბავშვო ფოლკლორის კვლევისას ზღაპრები საგანგებოდ შეისწავლა ფ. ზანდუკელი (ზანდუკელი, 1977, გვ. 1980). მოგვიანებით თ. ქურდოვანიძე (2002) შეეხო ამ ჟანრთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს. მკვლევარმა რ. ჩოლოყაშვილმა შეისწავლა ზღაპრების მიმართება უძველეს რწმენა-წარმოდგენებთან, რის საფუძველზეც ახლებურად გაიაზრა მათი ცალკეული მოტივები და ზოგ შემთხვევაში მთელი სიუჟეტებიც. მკვლევარმა გამოიკვლია ზღაპრის განვითარების ძირითადი ეტაპები, ახსნა ცალკეული სახე-სიმბოლოები, ამასთანავე, ყურადღება გაამახვილა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: პერსონაჟების გენეზისი და სხვა (ჩოლოყაშვილი, 2004). მოგვიანებით კი მათ მიუძღვნა სპეციალური მონოგრაფია, რომელშიც შესწავლილია ზოგადად ეპოსის ცალკეული ქვეჯგუფების საზღვრები და თავისებურებანი, ფუნქცია და ა. შ. (ჩოლოყაშვილი, 2005). ზემოთ განხილული თეორიული კვლევები ცხადყოფს, რომ ზღაპრებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხალხურ შემოქმედებაში და, შესაბამისად, კვლევის მრავალფეროვნებაც ამ ჟანრისადმი მეცნიერთა დიდ ინტერესზე მეტყველებს.

2014 წელს ზღაპრის ტიპთა საერთაშორისო კატალოგთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე დამუშავდა თემა „ქართული ხალხური ცხოველთა ზღაპრების ტიპოლოგიური ანალიზი ზღაპრის საერთაშორისო კატალოგის ATU15 ტიპის კონტექსტში“ (ტურაშვილი, 2014ა). ამავე წელს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივში დაცული გამოუქვეყნებელი ცხოველთა ზღაპრები შესწავლილ იქნა რაოდენობრივი და შედარებითი ანალიზის მეთოდების გამოყენებით, წარმოჩინდა მსგავსებები და განსხვავებები, ასევე, გამოიკვეთა ეროვნული რეპერტუარისთვის დამახასიათებელი თავისებურებებიც (ტურაშვილი, 2014ბ). მოგვიანებით კი *1836-1927 წლების რუსულ პრესაში გამოქვეყნებული მასალის მიხედვით*, შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზის მეთოდით დამუშავდა ცხოველთა ზღაპრები (ტურაშვილი, 2020).


რაც შეეხება ქართული ზღაპრების კატალოგიზაციას, ამ მხრივაც სერიოზული მუშაობაა ჩატარებული. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ელ. ვირსალაძის დამსახურება ამ საქმეში. 1961 წელს მან გამოაქვეყნა ნაშრომი „ზრპართა სიუჟეტების საძიებელი“, რომელიც ქართული ზღაპრების კატალოგიზაციის პირველი ცდაა. მკვლევარმა აარნე-ანდრეევის ცხოველთა ზღაპრის კატალოგის მიხედვით დამუშავებული ქართული ცხოველთა ზღაპრების ტიპთა კატალოგი გააკეთა, რომლის წინასიტყვაობაში დაწერა:

„წინამდებარე ნაკვეთზე ჩატარებული მუშაობიდანაც ირკვევა საკმაოდ დიდი თავისებურება ცხოველთა შესახებ ქართული ხალხური ზღაპრებისა. ჩვენ მიერ ფიქსირებულია ქართულ მასალაში სულ ასამდე ამგვარი სიუჟეტი. მათ შორის ორმოცი პირველად არის შეტანილი კატალოგში და რუსულ, უკრაინულ თუ დასავლეთ ევროპის მასალებთან შედარებით ორიგინალურია. ამის გარდა, დანარჩენ 70 სიუჟეტიდან 27 ორიგინალური ქართული ვარიაციით არის წარმოდგენილი“ (ვირსალაძე, 1961, გვ. 335).

1970 წლიდან ქართული ზღაპრის სიუჟეტთა საძიებელზე მუშაობდა თ. ქურდოვანიძე, 2000 წელს კი ეს საძიებელი გამოვიდა ინგლისურ და რუსულ ენებზე. აღნიშნულ წიგნში მკვლევარს 460 ზღაპრის ტიპი აქვს გამოყოფილი, რომლებშიც 176 საკუთრივ ქართულ ორიგინალურად მიიჩნევა (ქურდოვანიძე, 2000). ცხოველთა ეპოსის კლასიფიკაციასა და სიუჟეტურ საძიებელზე იმუშავა, ასევე, რ. ჩოლოყაშვილმა. მკვლევარი გვთავაზობს ეტიმოლოგიური გადმოცემების ოთხი, კუმულაციური და ცხოველთა შესახებ ზღაპრების თორმეტი ქვეჯგუფის ფარგლებში გაკეთებულ საძიებელს (ჩოლოყაშვილი 2009).

კვლევა ეყრდნობა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივის ორ ელექტრონულ პროდუქტს: ქართული ფოლკლორის მონაცემთა ბაზასა (იხ., <https://www.folktreasury.ge/ARPA> და სურათი 1) და ქართული ხალხური პროზის კომპარატივისტული ანალიზის ვებპლატფორმას (იხ., <https://www.folktreasury.ge/Folklore> და სურათი 2), რომელშიც 2004 წელს აარნე-ტომპსონ-უთერის ზღაპრის ტიპთა საერთაშორისო კატალოგთან თავსებადობაში დამუშავებული და თავმოყრილია ფოლკლორის არქივში დაცული გამოუქვეყნებელი ზღაპრები. ელექტრონული პლატფორმა ქართულ ფოლკლორულ რეპერტუარზე კომპარატივისტული ანალიზის საფუძველზე ფართომასშტაბიანი კვლევების განხორციელების საშუალებას იძლევა.

სურათი 1 – ქართული ფოლკლორის მონაცემთა ბაზა
ძიება



შედეგი

Database of Georgian Folklore

Outer User Edit Table Log

Search: (Recorder Name contains კოჭლაეაშვილი) AND (Narrator Birth Province contains 15) AND(1=1)

Search Result

ID	Code	Narrator Name	First Line	Format
34805	PHN125c-1_13.66_103.80	ცქვიტიშვილი, გლმუნტი	აი, რა იცი გლმუნტი მუნ ძველი მესტიერის შესახებ სოფელში	audio
34806	PHN125c-1_104.65_169.36	ცქვიტიშვილი, გლმუნტი	მერე ერთი კიდე ყოფილიყო სხვა კაცი, ჩვენი მოჭიდავე, რა...	audio
34807	PHN125c-1_170.74_214.80	ცქვიტიშვილი, გლმუნტი		audio
34808	PHN125c-1_217.56_257.49	ცქვიტიშვილი, გლმუნტი		audio
34809	PHN125c-1_260.91_383.46	ტატუნაშვილი, მიხეილ გიორგის ძე	მინდა გაიშოთ აშხავე ამ ოციოდე წლისაო	audio
34810	PHN125c-1_386.21_583.11	ტატუნაშვილი, მიხეილ გიორგის ძე	მოყმის [...] სიცოცხლე,	audio
34886	PHN125c-1_4427.54_4916.32		იყო ერთი სოფლაგარი, სოფლაგარს ცაედა ერთი გოგო, გასათხოვი გოგო და ცოლი რომ მოუკვდა	audio
735	faq380-1 355	გელაშვილი გიორგი	0	text
14993	faq380 115	ლაზარაშვილი მარიამ	ღვედაშთილო კონკა მოდის	text
14994	faq380 116	ლაზარაშვილი მარიამ	ეცლე ღველე	text

Back from-1 | to-10 total-145 ordered by Format Forward

სურათი 2 – ქართული ხალხური პროზის კომპარატივისტული ანალიზის ელექტრონული პლატფორმა

Groups of Users: - All -

Origin of Resources: - All -

ATU: 0015

Text ID:

Text Code:

Key Word:

ATU= 0015

ATU= 0015


1 Motive in the native language	1 Motive in English	Te: Id: Co
ATU 0020D* - მოზღოცველი ცხოველები (შემოკლებული ვარიანტი)	ATU 0020D* - Pilgrimage of the animals (short version)	1
Delete Motif Edit Motif		
2 Motive in the native language	2 Motive in English	Te: Id: Co
ATU 0020C - ცხოველები შიშით მიფრინავენ მსოფლიოს დასასრულში	ATU 0020C - The Animals Flee in Fear of the End of the World	1
Delete Motif Edit Motif		
3 Motive in the native language	3 Motive in English	Te: Id: Co
დათვი (კატა ID 20280) და მულა (თაგვი ID 20280) ამობილდებიან და იწყებენ ერთად ცხოვრებას	A bear (a cat ID 20280 and a fox (a mouse ID 20280) make friends and live together	10
Delete Motif Edit Motif		
4 Motive in the native language	4 Motive in English	Te: Id: Co
დათვი და მულა თესვენ ზარ ცნას	A bear and a fox sow shared arable land	1

Selected Texts Identifiers

ID	Code	Narrator Birth Province	Narrator Living Province	Sex	Note	ATU
4760	fas274 gv157	0	6	m		0020D*+0015
5780	fas82 gv8	0	3	f		0015+0001

ქართული ფოლკლორის მონაცემთა ბაზაში (იხ., <https://www.folktreasury.ge/ARPA>) განთავსებულია შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში დაცული 34531 ტექსტის შესახებ კონტენტ- და მეტამონაცემი, რომელთაგან ზღაპარი არის 3521 ერთეული. მონაცემთა ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ, ზოგადად, ისინი მთელი ფოლკლორული რეპერტუარის 9%-ია (იხ. სურათი 3).

სურათი 3 – ქართული ხალხური ზღაპრების ყველა ტექსტთან მიმართება




ზღაპრის ტიპთა საერთაშორისო კატალოგში (Uther, Hans-Jorg 2004) ბლოკები ასე ნაწილდება:

- ცხოველთა ზღაპრები (1-299);
- ჯადოსნური ზღაპრები (300-749);
- რელიგიური ზღაპრები (750-849);
- ნოველისტური ზღაპრები (550-999);
- სულელი ოგრის (გიგანტის, ეშმაკის) ზღაპრები (1000-1199);
- ანეკდოტები (1200-1999);
- კუმულაციური ზღაპრები (2000-2399).

ქართულ ხალხურ საზღაპრო ეპოსში, საარქივო მასალაში, გარდა სულელი ოგრის (გიგანტის, ეშმაკის) ზღაპრებისა (1000-1199), ყველა ქვეყანრი ფიქსირდება და საინტერესო სურათს გვიჩვენებს: ცხოველთა ზღაპრები არის 130 ერთეული, ჯადოსნური – 1405, რელიგიური – 82, ნოველისტური – 405, ანეკდოტები – 357, კუმულაციური – 8 და გაფუჭებული – 360. მათი პროცენტული განაწილება კი ამგვარია: ცხოველთა 6%, ჯადოსნური 59%, რელიგიური 3%, ნოველისტური 17% და ანეკდოტები 15%. რაოდენობრივი ანალიზის ცხადყოფს, რომ ყველაზე პოპულარი ჯადოსნური ზღაპრები ყოფილა, შემდეგ – ნოველისტური, ანეკდოტები და კუმულაციური. ეს ყველაფერი ეროვნული რეპერტუარის მახასიათებლობას უსვამს ხაზს (იხ. სურათი 4).

სურათი 4 – ქართული ხალხური ზღაპრების რაოდენობრივი ანალიზი



ქართული ხალხური პროზის კომპარატივისტული ანალიზის ვებპლატფორმა (იხ., <https://www.folktreasury.ge/Folklore>) ზღაპრის ტიპთა საერთაშორისო კატალოგისგან განსხვავებით იძლევა ტიპთა რელევანტურობის დადგენის საშუალებას, შესაბამისად, ზღაპრების ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ ცხოველთა ზღაპრებში ყველაზე პოპულარული ტიპია ATU15, ჯადოსნურში – ATU301, რელიგიურში – ATU779, ნოველისტურში – ATU938B, ანეკდოტებში – ATU1640 და კუმულაციურში – ATU2042.

ცხოველთა ზღაპრებში ყველაზე პოპულარული ტიპი – ATU15 „ნათლის“ მიერ საჭმლის ქურდობა – ქართულ რეპერტუარში არსებობს როგორც მარტივი, ერთტიპიანი ზღაპრების სახით, ასევე – კომბინირებული (მაგ., 0036+0068A+0015*). საერთაშორისო კატალოგთან შედარების საფუძველზე დადგინდა, რომ ქართული ზღაპრებში კომბინაცია არ გვაქვს 3, 4, 5, 34, 41, 47A და 210 ტიპებთან, ქართულში ასეთი ხუთი ტიპია: 20C, 20D*, 30, 36 და 41. კომბინაციის შემთხვევაში ქართულ და უხოურ მასალას შორის თანხვედრა მხოლოდ და მხოლოდ ორ ტიპშია, მათსადამე, ამ მხრივაც ქართული ხალხური ცხოველთა ზღაპრები სიუჟეტის განვითარების საინტერესო და განსხვავებულ სურათს იძლევა (Uther, 2004, გვ. 26-27).

ჯადოსნური ზღაპრის პოპულარი ტიპია ATU301, რომელიც 115 ერთეული ტექსტია, აქედან 34-ში ის მარტივი კომპოზიციითაა აგებული, ხოლო 81 კომბინირებულია ძირითადად ჯადოსნური ზღაპრებისვე ტიპებთან, მაგრამ ფიქსირდება ანეკდოტთან (ATU1640) კომბინაციაც. საერთაშორისო კატალოგში აღნიშნული ტიპის კომბინაციები უფრო მრავალფეროვანია, უმეტესწილად ის შერწყმულია ჯადოსნური ზღაპრის ტიპებთან, ესენია: ATU300, 302, 313, 400, 550, 650A, 300A, 303, 304, 312D, 314, 327B, 400, 402, 506, 530, ასევე, სულელი ოგრის (გიგანტის, ემმაკის) ბლოკის ზღაპრებთან: ATU1060, 1088, 1115 და ერთ შემთხვევაში ანეკდოტთან – ATU1910. რა თქმა უნდა, არსებობს მისი ლიტერატურული ვერსიებიც (Uther, 2004, გვ. 176-179).

რელიგიურ ზღაპრებში პოპულარულია ATU779 – „სხვადასხვა ღვთაებრივი ჯილდო და სასჯელი“ – სულ 13 ზღაპარია და ყველა მარტივი აგებულებისაა, ანუ ერთტიპიანია, ზღაპრის სხვა ბლოკების ტიპებთან კომბინაცია არ დასტურდება. ასევეა ზღაპრის საერთაშორისო კატალოგშიც, თუმცა იქ მისი ლიტერატურული ვერსიებია აღნიშნული (Uther, 2004, გვ. 436).

ნოველისტურ ზღაპრებში პოპულარი ტიპი „ახალგაზრდობაში უკეთესი“ – ATU938B ქართულ ზღაპრულ ეპოსში 17 ზღაპარშია დადასტურებული და ყველა შემთხვევაში ის კომბინირებულია ტიპთან ATU860B* – საერთაშორისო კატალოგის მიხედვით, ის მხოლოდ მარტივი კომპოზიციითაა და არსებობს მხოლოდ მისი ლიტერატურული ვარიანტები (Uther, 2004, გვ. 581-582).

ანეკდოტებში პოპულარულია ATU1640 – „მამაცი მკერავი“. აღნიშნული ტიპი დასტურდება 38 ქართულ ხალხურ ზრეპარში, რომელთაგან უმეტესწილად ერთტიპიანებია – 35 ერთეული, ხოლო 3 ზღაპარში ის კომბინაციაშია ჯადოსნური ზღაპრების ტიპებთან, ესენია: 300, 301 და 613. 25 ზღაპარი კი აღწერილია 1640-1674 ბლოკში. საერთაშორისო კატალოგში აღნიშნული ტიპის კომბინაციები განსხვავებულად და უფრო მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი, ძირითად ის შერწყმულია თავისივე ბლოკის ტიპებთან: 1563 და 1641, სულელი ოგრის (გიგანტის, ემმაკის) (1045, 1088, 1115, 1116, 1149 და 1149), ასევე, ცხოველთა (151 და 177) და ჯადოსნური (300, 326, 650A და 854) ზღაპრების ტიპებთან (Uther 2004, გვ. 342-344).

მრავალფეროვანია კუმულაციური ზღაპრის ტიპი ATU2042 („შემთხვევითობათა ჯაჭვი“). არსებობს მისი ლიტერატურული ვარიანტიც. აღნიშნული ტიპი მსოფლიოს შვიდ ქვეყანაშია გავრცელებული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველო არც ამ ჩამონათვალშია მოხსენიებული. არადა, იგი ერთ-ერთი პოპულარული ტიპია ქართულ ზღაპრულ რეპერტუარში სათაურით „კოჭობმა რა ქნა?“ აღნიშნული ზღაპარი ძირითადად ლექსითი ფორმისაა და მისი მოკლე პროზაული შინაარსი ასეთია: „აიყარე, გაიყარე, კოჭობაში ჩაყარე, ზედ მარილი დააყარე, შეწვი და შეჭამე. კოჭობი მიაქვს წყალს (თხა ხეთქავს ID 9883), თხას მგელი ჭამს, წყალს სვამს ჭია, მგელი ტყეს შეერევა, ჭია

ხეში ძვრება, ხეს (ტყეს ID 9883) სჭრის ცული, ცული მიაქვს (აბლაგვებს ID 9883) მჭედელს.“ აღნიშნული ტიპი ძალიან ახლოსაა კუმულაციურ ზღაპართან სათაურით „თხა და ვენახი“.

საარქივო გამოუქვეყნებელი ზღაპრების მონაცემთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ქართულ ფოლკლორულ რეპერტუარში ყველაზე პოპულარული ყოფილა ჯადოსნური ზღაპრები. ამასთან, ქართულ ფოლკლორულ რეპერტუარში, ისევე როგორც საერთაშორისოში, უფრო გავრცელებულია ერთტიპიანი ზღაპრები, ვიდრე კომბინირებული. ასევე, საინტერესო სურათს იძლევა ტიპთა კომბინაციები და რელევანტურობა, რისი დადგენის საშუალებას იძლევა „ქართული ხალხური პროზის კომპარატივისტული ანალიზის ვებპლატფორმა“ (იხ., <https://www.folktreasury.ge/Folklore>). სამწუხაროდ, ქართული ლიტერატურული ზღაპრები ჯერჯერობით დაუმუშავებელია და ნაშრომში ქართულ მასალაზე დაყრდნობით შეუძლებელია დასკვნების გაკეთება, თუმცა გაანალიზებული მასალა იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ქართულ ხალხურ ზღაპრებს ეროვნული რეპერტუარისთვის დამახასიათებელი თავისებურებებიც მრავლად აქვს შეძენილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გოგიაშვილი, ე. (2006). *ქართული ზღაპრები ახალ საერთაშორისო კატალოგში*. ქართული ფოლკლორი, 3, XIX. თბილისი: „მეცნიერება“.
- ვირსალაძე, ე. (1960). *ზღაპარი*. ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, I. თბილისი: რუსთაველის სახ. ქართ. ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
- ვირსალაძე, ე. (1961). *ზღაპრის სიუჟეტთა საძიებელი, ზღაპრები ცხოველების შესახებ*. ლიტერატურული ძიებანი, XIII. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ზანდუკელი, ფ. (1980). *წერილები საბავშვო ფოლკლორზე*. თბილისი: „ნაკადული“.
- ზანდუკელი, ფ. (1977). *ქართული საბავშვო ფოლკლორის საკითხები*. თბილისი: „ნაკადული“.
- სიხარულიძე, ქ. (1958). *ნარკვევები*. თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- სიხარულიძე, ქ. (1938). *ქართული საბავშვო ფოლკლორი*. თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ტურაშვილი, მ. (2020). *ცხოველთა ზღაპრების შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზი (1836-1927 წლების რუსულ პრესაში გამოქვეყნებული მასალის მიხედვით)*. ჩოლოყაშვილი, რ. და ონიანი, ო. (რედაქტორები). 1836-1927 წლების რუსულ პრესაში გამოქვეყნებული ქართული ფოლკლორული მასალის შესწავლა, კვლევები ანოტირებული ბიბლიოგრაფია. თბილისი: „მერიდიანი“.
- ტურაშვილი, მ. (2014ა). *ქართული ხალხური ცხოველთა ზღაპრების ტიპოლოგიური ანალიზი ზღაპრის საერთაშორისო კატალოგის ATU 15 ტიპის კონტექსტში*. ქართული ფოლკლორი, 7 (XXIII). თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
- ტურაშვილი, მ. (2014ბ). *ქართული ხალხური ზღაპრების კომპარატივისტული ანალიზი ზღაპრის საერთაშორისო კატალოგის კონტექსტში (საარქივო მასალის მიხედვით)*. ჟურნალი „სჯანი“. თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
- ქურდოვანიძე, თ. (2002). *ქართული ზღაპარი*. თბილისი: „მერანი“.
- ჩიქოვანი, მ. (1946). *ქართული ფოლკლორი*. თბილისი: „სახელგამი“.
- ჩიქოვანი, მ. (1946). *ზღაპრის სტრუქტურული ანალიზი*. ფოლკლორის თეორია და ისტორია, VIII. თბილისი: „მეცნიერება“.
- ჩოლოყაშვილი, რ. (2004). *უძველეს რწმენა-წარმოდგენათა კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპოსში*. თბილისი: „ნეკერი“.
- ჩოლოყაშვილი, რ. (2009ა). *ზღაპარი და სინამდვილე*. თბილისი: „ნეკერი“.
- ჩოლოყაშვილი, რ. (2009ბ). *ცხოველთა ეპოსის კლასიფიკაცია და სიუჟეტური საძიებელი (კუმულაციური ზღაპრები და ზღაპრები ცხოველთა შესახებ)*. ქართული ფოლკლორი, 2(XVII). თბილისი: „მეცნიერება“.
- Uthe, H-J. (2004). *The Types of International Folktales. A Classification and Bibliography*. Helsinki: Suomalainen Tiedekatemia Academia Scientiarum Fennica.
- Курдованидзе, Т. (2000). *Указатель Сюжетов Грузинской Народной Сказки, Систематический Указатель По Системе Аарне-Томпсона*. Тбилиси: „Мерани“.

ინტერნეტრესურსი:

ხალხური პროზის კომპარატივისტული ანალიზის ვებპლატფორმა:

<http://www.folktreasury.ge/Folklore/searcher.php>

ქართული ფოლკლორის მონაცემთა ბაზა: <https://www.folktreasury.ge/ARPA/>

Referenses:

- Chikovani, M. (1946). *Kartuli Polk'lori*. Tbilisi: „Sakhelgami“.
- Chikovani, M. (1946). *Zghap'ris St'rukt'uruli Analizi*. Polk'loris Teoria da Ist'oria, VIII. Tbilisi: „Metsniereba“.
- Choloq'ashvili, R. (2004). *Udzveles Rts'mena-ts'armodgenata K'vali Khalkhur Zghap'rul Ep'osshi*. Tbilisi: „Nek'eri“.
- Choloq'ashvili, V. (2009a). *Zghap'ari da Sinamdvile*. Tbilisi: „Nek'eri“.
- Choloq'ashvili, R. (2009b). *Tskhovelta Ep'osis K'lasipik'atsia da Siuzhet'uri Sadziebeli (K'umulatsiuri Zghap'rebi da Zghap'rebi Tskhovelta Shesakheb)*. Kartuli Polk'lori, 2(XVII). Tbilisi: „Metsniereba“.
- Gogiasvili, E. (2006). *Kartuli Zghap'rebi Akhal Saertashoriso K'at'alogshi*. Kartuli Polk'lori, 3, XIX. Tbilisi: „Metsniereba“.
- Kurdovanidze, T. (2002). *Ukazatel' Sûžetov Gruzinskoj Narodnoj Skazki, Sistematičeskij Ukazatel' Po Sisteme Aarne-Tompsona*. Tbilisi: „Merani“.
- Kurdovanidze, T. (2002). *Kartuli Zghap'ari*. Tbilisi: „Merani“.
- Sikharulidze, K. (1958). *Nark'vevebi*. Tbilisi: St'alinis Sakhelobis Tbilisis Sakhelmts'ipo Universit'et'is Gamomtsemloba.
- Sikharulidze, K. (1938). *Kartuli Sabavshvo Polk'lori*. Tbilisi: St'alinis Sakhelobis Tbilisis Sakhelmts'ipo Universit'et'is Gamomtsemloba.
- T'urashvili, M. (2020). *Tskhovelta Zghap'rebis Shedarebit-t'ip'ologiyuri Analizi (1836-1927 Ts'lebis Rusul P'resashi Gamokveq'nebuli Masalis Mikhedvit)*. Choloq'ashvili, R. da Oniani, O. (Redakt'orebi). 1836-1927 Ts'lebis Rusul P'resashi Gamokveq'nebuli Kartuli Polk'loruli Masalis Shests'avla, K'vlebebi Anot'irebuli Bibliografi. Tbilisi: „Meridiani“.
- T'urashvili, M. (2014a). *Kartuli Khalkhuri Tskhovelta Zghap'rebis T'ip'ologiyuri Analizi Zghap'ris Saertashoriso K'at'alogis ATU 15 T'ip'is K'ont'ekst'shi*. Kartuli Polk'lori, 7 (XXIII). Tbilisi: Lit'erat'uris Inst'it'ut'is Gamomtsemloba.
- T'urashvili, M. (2014b). *Kartuli Khalkhuri Zghap'rebis K'omp'arat'ivist'uli Analizi Zghap'ris Saertashoriso K'at'alogis K'ont'ekst'shi (Saarkivo Masalis Mikhedvit)*. Zhurnali „Sjani“. Tbilisi: Shota Rustavelis Kartuli Lit'erat'uris Inst'it'ut'is Gamomtsemloba.
- Uthe, H-J. (2004). *The Types of International Folktales. A Classification and Bibliography*. Helsinki: Suomalainen Tiedeakatemia Academia Scientiarum Fennica.
- Virsaladze, E. (1960). *Zghap'ari*. Kartuli Khalkhuri P'oet'uri Shemokmedeba, I. Tbilisi: Rustavelis Sakh. Kart. Lit'erat'uris Inst'it'ut'is Gamomtsemloba.
- Virsaladze, E. (1961). *Zghap'ris Siuzhet'ta Sadziebeli, Zghap'rebi Tskhovelebis shesakheb*. Lit'erat'uruli Dziebani, XIII. Tbilisi: Sakartvelos SSR Metsnierebata Ak'ademiis Gamomtsemloba.
- Zanduk'eli, P. (1980). *Ts'erilebi Sabavshvo Polk'lorze*. Tbilisi: „Nak'aduli“.
- Zanduk'eli, P. (1977). *Kartuli Sabavshvo Polk'loris Sak'itkhebi*. Tbilisi: „Nak'aduli“.

Int'ernet' resursi:

Khalkhuri P'rozis K'omp'arat'ivist'uli Analizis Veb'lat'porma:

<http://www.folktreasury.ge/Folklore/searcher.php>

Kartuli Polk'loris Monatsemta Baza:

<https://www.folktreasury.ge/ARPA/>